სამშობლო

ოთხშაბათი,
20 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე [illegible] დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი [illegible] მოწერის დროს 4 მ., [illegible] განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ლორს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] განცხ ლებათა ფასი: [illegible] წინ 30 კაპ., უკან 20 კ. [illegible] თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დილის 8 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 336 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 336

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედას ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე** გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

მშობლები აზნაური პლატონ და თეოდოსია, და თამარა და ძმები დავით და ვარლამ წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ (5½ წლის)

მარიამის (მანიას)

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 21 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე საკუთარი სახლიდან № 57 ივანოვის ქუჩა. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე

ქუთაისის ქალაქის ტეატრი

აზინო თეატრის ჰ. ი. ამირაგოვის დირექცია პარასკევს 22 აპრილს გამართავს ერთად ერთ

კონცერტს

ობილ ქალის **მარიამ პეტრეს ასულის კამაროვისას** დასაწყისი კონცერტისა საღამოს 8½ საათზე დაწვრილებით აფიშებში.

141 ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 3—1

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღ. 6—8 საათ, მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები. მართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3
13 1—თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე ლის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46. ტელეფონი № 87. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ცებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს თმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ქსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. ლისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ღებანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფებისა დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. „სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ბეითალი **ა. ვ ნეურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალაბვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

18 აპრილი. პულკარკის რაიონში რიგის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი არტილერია მარჯვედ უშენდა მტერს. გერმანელთა არტილერიამ ცეცხლი გაახსნა იკსკიულის და იკოკულის სიმაგრეების მიმართ. მტრის ერთერთ პოზიციაზე ჩვენი არტილერიის მოქმედებამ ცეცხლი გააჩინა. ნაროჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელები ცდილობდენ თავის თხრილებიდან ამოსვლას, მაგრამ ჩვენ ცეცხლი მივაგებეთ და უკუვაგდეთ. კლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით როვნო-კოველის რკინის გზაზე მტერი სამჯერ შეეცადა ჩვენთვის ალყა შემოერტყა მაგრამ ჩვენ არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით შევებრძოლეთ და უკუვაგდეთ.

კავკასიის ასპარეზი.

დიარბექირის მიმართულებით ჩვენმა ყაზახებმა ოსმალები შეავიწროვა დასავლეთით და ოსმალთა ერთ რაზმს ტყვია წამლის ყუთები წაართვეს.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ანონსი: ორშაბათ, 18 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

მეეტლე! ნუ მიერეკები ცხენებს

მეეტლე! ნუ მიერეკები ცხენებს.

ნოველა ი. ფელდმანის ცნობილ რომანსიდან 4 ნაწ. მონაწილეობენ: ბერსეტინი, ბასალიგი, ვოლგერსკისა და რიბიკოვისა.

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენე იქნება: **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები. **როდის დასჭკნება სიყვარულის ყვავილები.** ძლიერი დრამა სამ ნაწ. ცნობილ მსახიობთა: ევა ტომსენის და ელზა ფრეილიხის მონაწილეობით. **ქალების მისარდუმლი.** კოროტიშვინის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ოთხშაბათს, 20 აპრილს, მხოლოდ ერთი დღით ნაჩვენები იქნება:

ქრონიკა გომონისა
მიმდინარე ამბები.

ერთი ღამის საიდუმლოება

დრამა სამ ნაწილად საუკეთესო მსახიობების გუსტავ სერენის, ოლდა ბენეტის და ვიკტორია ბენეტის მონაწილეობით.

კეთილი ძმის-წული.
კომიკური.

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა
მოწაფეებისათვის და ბავშვებისათვის აღკრძალულია.

ქრონიკა გომონის. მიმდინარე ამბები **ცოლი.** არციბაშევის ნაწარმოების „ქმარი“ს საპასუხოთ. 6 ნაწილად. მონაწილეობას მიიღებენ: ლაზაროვისა, მურომსკისა, დობჟინსკი, შულგინი. Poseue დადგმულია სვეტლოვისაგან.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“: ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სამხედრო ბეგარა ინგლისში.

ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ სიტყვით დღეს მინისტრთა შორის სამხედრო ბეგარის შესახებ უთანხმოება აღარ არის. ყველა იმის მომხრეა, რომ ახალგაზდების ჯარში იძულებითი გაწვევა აღსრულდეს და ამით ინგლისის ჯარი გააძლიერონ. მაგრამ იმაზე კი ისევ დიდი კამათია გამართული, თუ რანაირი რბილი ფორმით გაატარონ ეს რეფორმა (?) ცხოვრებაში. ეს საჭირო შეიქნა, რადგან ანტიმილიტარისტულ ინგლისში და ორგანიზაციებით ძლიერ მუშათა კლასის ქვეყანაში ხალხის თავისუფლების შემლახველი კანონის გატარება თითქმის შეუძლებელია. ერთი გარემოება, რომ ხელს არ უწყობდეს ინგლისის მთავრობას, დღეს ამ კანონს დღევანდელ ომიანობის პირობებშიაც ვერ განახორციელებდა. ამიტომაც ინგლისის მთავარ-მინისტრმა ზომები მიიღო, რათა მუშათა კლასის ხელმძღვანელები ამ კანონის აუცილებლობაში დაარწმუნოს პარლამენტის მომავალ დახურულ სხდომაზე იგი ციფრებით ხელში დაამტკიცებს, რომ იძულებით თუ არ, სხვაფრივ შეუძლებელი ხდება, რომ ჯარში ცოლშვილიანი ახალგაზდები გაიყვანონ.

ირლანდიის აჯანყების მეთაური.

სწორეთ იმ დროს, როცა ინგლისის ხალხოსნებმა ირლანდიის ნაპირებთან იარაღით დატვირთული გერმანიის კრეისერი ჩაძირეს, ინგლისის მთავრობის აგენტებმა ირლანდიის აჯანყების ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი შეიპყრეს. სახელდობრ სერ როდჟერ კეზმენტი, რომელიც იმ დროს ცდილობდა, რომ გერმანიის კრეისერის მიერ გადმოტანილი იარაღი მიეღო და მერე ირლანდიის აჯანყებულებისათვის დაერიგებია. მან ეს ვერ მოასწრო ისე ჩავარდა ტყვეთ; ამასწინად თურმე საშუალება ჰქონდა დიდი დიპლომატიური კარიერა გაეკეთებია და ინგლისის სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებულიყო; მაგრამ მან ეს არ ისურვა: როდესაც გადაწყვიტა, რომ თავისი ძალღონე ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის შეეწირა. როგორც კი ომი დაიწყო იგი გერმანიაში გაემგზავრა და იქ ირლანდიის სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა მას უნდოდა, რომ გერმანიის ჯარში „ირლანდიის რაზმი“ შეედგინა. ამ მიზნით ის გერმანელებისგან დატყვევებულ ირლანდიელ ჯარისკაცებს მოუწოდებდა, რომ „ირლანდიის რაზმში“ ჩაწერილიყვნენ: კეზმენტის ასეთი აგიტაციის წინააღმდეგ ს. დ. ლიბკნეხტმა სიტყვის წარმოთქმა მოინდომა რეიხსტაგში; მაგრამ ამის ნება თავმჯდომარემ არ მისცა მას. ეს ფაქტი გერმანულ პრესაში სიჩუმით ჩაატარეს: პარლამენტმაც და პრესამაც კეზმენტის აგიტაციის შესახებ გაჩუმება არჩია: ალბათ იმიტომ, რომ „საქმეს“ საიდუმლოთ უწყობდა ხელს, რაც იარაღით დატვირთულ, ზემოაღნიშნულ კრეისერის დაღუპვის ამბავმა გამოაშკარავა.

მარსელში მიყვანილ რუსის ჯარზე.

გერმანულმა პრესამ ხმა გაავრცელა, რომ ამასწინად მარსელში გადაყვანილი ვითომდა რუსის ჯარი რუსულ ფორმაში გამოწყობილი სერბიელი ჯარისკაცები არიან, რომლებიც კუნძულ კორფუიდან მოიყვანესო. ახლა ამ ცნობის საწინააღმდეგოთ და გასაბათილებლათ პარიზის გაზეთებში რუსის ჯარის მარსელში გადაყვანაზე ერთი წვრილმანი ცნობაა მოთავსებული. გაზეთებში სწერია: „გემებიდან გადასასვლელები“ ტყვე გერმანელებისგან იყო გაკეთებული ისე რომ მათ (ტყვე გერმანელ ჯარისკაცებს) შეეძლოთ (?) შეამოწმონ, თუ რამდენათ მართალია გერმანულ პრესის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ მარსელში გადმოყვანილი რუსის ჯარისკაცები კუნძ კორფუდან გადმოყვანილი სერბიელები არიან“.

საიდუმლო პარლამენტარული კრება ინგლისში

პარიზიდან კორესპონდენტი „რუსკია ვედომოსტებს“ აუწყებს: „ლონდონიდან ცნობაა მოსული, რომ 12 აპრილს გამართული პარლამენტარული კრება პირველი დახურული სხდომაა თემთა პალატისა მთელი მისი 600 წლის არსებობის განმავლობაში, რამდენათაც დღემდე ინგლისის პარლამენტი შედარებით სხვებთან უფრო მეტი დამოუკიდებლობით და თავისუფლებით სარგებლობდა, იმდენათ ამ კრებაზე მეტი სისასტიკე და საიდუმლოება იქნა დაცული. მიიღეს უსასტიკესი ზომები, რომ კრებას გარეშე პირი არავინ დასწრებოდა. ამ მიზნით „სავენტილაციო ხვრელებიც“ კი ამოყორეს; ხოლო იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ სხდომაზე დასწრებისა, სასტიკი სასჯელის ქვეშ დაავალეს, რომ კრებაზე წალაპარაკევი და კრების დადგენილება გარეთ, ხალხში ან საზოგადოებაში არ გაიტანონ. რა მოხდა ამ კრებაზე ან რა გადაწყვიტა მან ირლანდიის აჯანყების შესახებ, ეს გაზეთებმა ჯერ არ იციან.

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი)

დღეს ვერდენთან ბრძოლაზე ცნობა არ მოსულა. ირლანდიის აჯანყებულების წინააღმდეგ დუბლინში ინგლისის ჯარმა სასტიკი ზომები მიიღო: აჯანყებულებმა ოფიციალური ცნობით იარალი დაყარეს და ტყვეთ დანებდნენ მთავრობას. კერძო ცნობები ჯერ არაა.

კავკასიისა და ოსმალეთის ფრონტზე დიარბექირთან და ბითლისიდან ბაღდადის მიმართულებით რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა და ოსმალნი შეავიწროვა: ოსმალთა შეტევამ ჯერ ვერც მამახათუნ აშკალის გასავალში და ვერც ბაღდადის მიმართულებით რუსეთის ჯარის წინსვლა საბოლოოთ ვერ შეაჩერა ტრაპიზონის რაიონში მოქმედებაზე არაფერი ისმის

რუსეთისა და ავსტრია-გერმან ის ასპარეზზე განახლებული ბრძოლა ჯერ ნელის ტემპით გრძელდება: გერმანელნი კვლავ იქსკიული სახიდო წინა სიმაგრეებს მიუბრუნდენ და იკოკულის რაიონში პოზიციებს ყუმბარები დაუშინეს. რუსეთის ჯარმაც რიგის სამხრეთ აღმოსავლეთით არტილერია აამუშავა და გერმანელების ბატარეას ყუმბარები დაუშინა: წარმატება ჯერ არც ერთ მხარეს არ დატყობია. ტბა ნაროჩის სამხრეთის რაიონში გერმანელებმა სანგრებიდან გამოსვლა და იერიში დაწყება სცადეს, მაგრამ რუსის არტილერიამ წინ წამოსვლის საშუალება არ მისცა. სამხრეთის ფრონტზე ავსტრიელებმა როვნო-კოველის რკინის გზის გასწვრივ სად. ოლკას ახლო ს. ხრომიაკოვის უკან დაბრუნება მოინდომეს: სამჯერ მივიდნენ იერიშით, მაგრამ სამივეჯერ უკუქცეულ იქნენ.

მესოპატომიაში ინგლისი დამარცხდა, ოსმალეთმა გაიმარჯვა: ინგლისელებმა ქ. კუტში თავისი ბაზა და მთელი სამხედრო მასალა—საწყობი ააფეთქეს და მტერს დანებდნენ. ახლა მესოპოტამიაში შესვლა რუსეთის ჯარის იმ ნაწილს დაევალება, რომელიც სპარსეთის სამხრეთში და ბითლისის რაიონში მოქმედებს. მოკავშირეების იმედი მხოლოდ რუსეთზეა დამყარებული

სხვა ფრონტზე და ზღვაზე კვლავ სიწყნარეა.

რას იყვედრებიან ჩვენი ფედერალისტები?

(წერილი პირველი).

ქუთათური ფედერალისტები მაინც თავისას არ იშლიან და ცხადლივ თუ გადაკვრით კვლავ ავრცელებენ ჭორებს ჩვენი ჯგუფისა და ესდეკების შეერთების შესახებ თუმცა ჩვენ ყველას დავანახვეთ და დავუმტკიცეთ, რომ ჩვენ შორის არავითარი შეერთება არა ყოფილა და ჯერ არც შეიძლება რომ იყოს, ვინაიდან სულ სხვა და სხვა გზას ვადგევართ ჩვენის ქვეყნის ხსნა-გამოფხიზლების საქმეში, მაგრამ უსაქმური „მეგობრელები“ მაინც თვალყურსა ხუჭვენ და ადგილობრივის ლათაიებით რომ ვერა გააწყეს რა, ახლა ქალაქებსაც ეპოტინებიან,—ვითომ მათ:

— რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან შეკითხვები მოსდით მოსწავლე ახალგაზდობისაგან: ისინი განცვიფრებით კითხულობენ თურმე: ნუ თუ მართლა შეერთდენ დასელები და „საქართველოელები“ ფედერალისტების წინააღმდეგ საბრძოლველადო? (იხ. „მეგობარი“ № 38).

პირველ ყოვლისა ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ეჭვის თვალით შევხედოთ სანფარების ასეთ „განცხადებას“, რადგანაც ჩვენცა გვყავს ბევრი თანამგრძნობი ახალგაზდობა „რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში“, მაგრამ არც ერთისგან ასეთი „შეკითხვა“ არ მოგვსვლია, და ვერც ვერავინ შეგვეკითხება, ვინაიდან ჩვენ არავის არ შევთანხმებივართ სანფარებთან „საბრძოლველად“

ყველა, ცოტათ თუ ბევრად შეგნებული, ქართველი, ახალგაზდა იქნება იგი, თუ ძველ გაზდა, მოვალეა დარაჯად უდგეს თავის ქვეყნის საჭიროებათ და შეძლებისდაგვარად ებრძოლოს და ამხილოს ყველა სხვა იმისთანა ქართველი, რომელიც ჯგუფურ თუ პირად ინტერესების გულისათვის დაივიწყებს სამართლიანობას და მოინდომებს ფეხით გასთელოს უფლება, თუ ღირსება ჭეშმარიტი მუშაკისა, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მოქალაქისა.

საუბედუროდ ქართველის ხალხისა და საქართველოს მომავლისა, როგორც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, დიდიხანია გვჭირს სენი ერთმანეთის გაცოცხვა-გაბიაბრუებისა და ამ სენმა იმდენად დაგვაწვრილმანა შინაურ ცხოვრებაში, რომ ლამის სასოწარკვეთილებამდე მიგვიყვანოს, ლამის ხელი აგვაღებინოს ყოველგვარ საქმიანობაზე...

ტყვილად კი არა ჩივიან ყველა ჯგუფის მკითხველები

— რა უბედურებაა, ჩვენი გაზეთები მხოლოდ ლანძღვა-გინების ფურცლებად გადაიქცენო!

ან კიდევ, ტყუილად კი არ ამბობენ ხოლმე წვრილფეხა მეგაზეთეების თავხედურ გამოლაშქრებით გამწარებული მოამაგენი ჩვენის ქვეყნისა:

— გადავიკარგებით სადმე და ამ ვაკხანალიას კი მოვშორდებითო'

მართლაც დასაფიქრებელია ჩვენი ასეთი გაწამაწია და ვისაც მართლა აქვს რაიმე იდეალი, ვისაც მართლა უყვარს თავისი ქვეყანა და ხალხი, პირველ ყოვლისა ამ გაწამაწიას უნდა მოუღოს ბოლო და ჩვენ ყოველდღიურ პრესაში უნდა შემოიღოს ისეთი სიტყვა-პასუხი, დაამყაროს ისეთი წესი პოლემიკისა, რომელიც არ იქნება პირად გაბოროტებასა და ცალ-კერძო გულისთქმაზე დამყარებული.

პირადად ჩვენც მოგვბეზრდა წვრილმანი კინკლაობა და ვეცდებით ამიერიდან უპასუხოთ დავსტოვოთ ხოლმე უღირსი გამოლაშქრებანი ჩვენ მოწინააღმდეგეთა და პასუხი ვაგოთ ხოლმე მხოლოდ ღირსეულსა და საქმის ცოდნა-სიყვარულზე დაფუძნებულ წერილ პოლემიკას.

ყოველივე პოლიტიკურ ჯგუფისა, თუ დასის, ყოველივე პატიოსანი ოჯახისა, თუ სკოლის უპირველესი მოვალეობაა ებრძოლოს ადამიანისა და საზოგადოების გამათახსირებელ მოვლენას, აღზარდოს პიროვნება შესმენილი, სამართლიანი, საზოგადოებრივობის გრძნობით გამსჭვალული, ლაღი და თავისუფალი. მანობა და ბატონობა რა სახისა და ნიღაბისაც უნდა იყოს, ყველგან და ყველა ჯგუფში დაგმობილი და დათრგუნვილი უნდა იყოს.

აი, ის პირველი მოთხოვნილება, პირველი მცნება, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ყოველივე პატიოსან კოლექტივისა, თუ კერძო მოღვაწის გულის ფიცარზე.

ჩვენ უაღრესი მომხრე ვართ ერთგვარის წესისა, ერთგვარის გეგმისა, ერთგვარის მტკიცე და შეურყეველი პროგრამისა, მაგრამ პარტიული თუ ჯგუფური დისციპლინა სრულიადაც არა თხოულობს, რომ ამა თუ იმ წევრს შენის ჯგუფისას გაუბატონდე და სული ყელში ამოართვა, ან ამა თუ იმ წევრს წაართვა თავისუფლება სიტყვისა, აზრისა, მოქმედებისა, ან ამა თუ იმ წევრს შეუგინო პირადობა და გულისთქმა, რაკი არ გეთანხმება და თავის ჯგუფურ ოჯახში შეაქვს კრიტიკა, კრიტიკა სამართლიანი, კრიტიკა საერთო საქმისათვის სასარგებლო და ხელსაყრელი.

ამავე სამართლიან საერთო, საკაცობრიო პრინციპის მიხედვით არცერთს არსებულსა და პროგრესიულად მომქმედ ჯგუფს უფლება არა აქვს მიწასთან გაასწოროს მეორე ჯგუფი და მისი წევრები, უფლება არა აქვს ათასგვარის ჭორებისა და ზღაპრების გამოგონებით დაამციროს და გაათახსიროს იგი, თუ კი ესა თუ ის ჯგუფი და მისი წევრები იღვწიან საქვეყნო, საერო ასპარეზზე.

ცხოვრება ბრძოლაა ჭეშმარიტება აზრთა შეჯახებაში იბადება და გვირგვინი ადამიანის შრომა-გარჯისა არის ის საქმე, რომელიც მოსდევს საზოგადოების ამა თუ წევრისა და ჯგუფის მოქმედებას.

ცუდი და მავნებელია მაგალითად! ჩემი აზრი ქვეყნისა და ერისათვის?

მამხილეთ, ბატონებო, მიუდგომელისა და მეცნიერულის საზომით გამსაჯეთ, საქვეყნო სარგებლობის თვალით დამაფასეთ, აწონ-დაწონეთ ჩემი ღირებულება და მაშინ დამსდეთ მსჯავრი, თორემ თქვენ რომ მაგინოთ მარტო იმისთვის, რომ თქვენ „ასე გნებავთ“, იმიტომ, რომ თქვენის მოხერხებითა, მდგომარეობითა, პირადის გავლენითა, თუ ქონებრივის სიძლიერით შეგიძლიათ ჩემი „დამარცხება და გათიშვა“;—ეს კიდევ იმის დამამტკიცებელი არ იქნება, რომ თქვენა ხართ მართალი და ქვეყნის „ერთადერთი მხსნელი და პატრონი!...

მაშასადამე, „ხმის სიმრავლე“ ქადაგელავი და „ჰკა მავასაო“ თავის დღეში ვერ იქნება და არც თავის დღეში ყოფილა მაჩვენებელი ამა თუ იმ ჯგუფის სიძლიერისა, თუ სამართლიანობისა:

„დიდი საქმის გაკეთების დროს ხმები კი არ უნდა დაითვალო, უნდა აწონო! სთქვა სულმნათმა ილიამ და ეს თქმა, ერთადერთი ჭეშმარიტებაა ქართული საქმის გასაკეთებლად.

მაგრამ გვახსოვს და განა ესა თუ სხვა ამგვარი ჭეშმარიტებანი, გამოკვლეულნი და დამყარებულნი ჩვენ ძველთაგან, რომელთაც მთელი სიცოცხლე შესწირეს ქვეყნისა და ხალხის გათვითცნობიერებას?

საუბედუროდ არა! დღევანდელ მომქმედ ჯგუფებსა და ახალი თაობის მოღვაწეებს ჰგონიათ, რომ რაც რამე გაკეთებულა საქართველოში, ან თუ გაკეთდება რამე, ყველა მათის მეცადინეობით ყოფილა და იქნება კიდეც!

აი, აქ არის ჩვენი უმთავრესი შეცდომა და ესევე შეცდომა უთხრის ძირს ჩვენში ყოველივე საერთო საქვეყნო საქმეს, აბრკოლებს და შეუძლებლად ხდის შეერთებულის ძალით მოქმედებას, აკნინებს და სამასხაროდ აკეთებს თვით იმ სოლიდარობას, იმ ერთობას, იმ სოციალიზმსაც კი, რომლის გულისთვისაც ასე თავს იკლავენ ჩვენი ვითომდა „შემარცხენე დასები*“.

საიდან გაჩნდა ჩვენში ისეთი შეურიგებლობა ჯგუფებისა, რამ დაჰბადა მათ შორის ასეთი უთანხმოება, ან რა აქვს და საყვედრებული ერთ ჯგუფს მეორეზე? აი ის საკითხები, რომლებიც დღეს ჩვენ გვაინტერესებს და რომელთა ზერელად ახსნაც კი საშუალებას მოგვცემს დავაფასოთ ამა თუ იმ ჯგუფის ღირებულება და სამართლიანი ადგილი მივუჩინოთ ქართველი ხალხის თვითშეგნების საქმეში.

ჩვენ ვამბობთ „ზერელად ხსნაც კიმეთქი“, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ხელთ არ გვაქვს [illegible] ის წყარო რომლის მეოხებითაც შეგვეძლოს შედგენა ჩვენში არსებულ ჯგუფების წარმოშობის დაწვრილებითი ისტორიისა.

ქუთაისში სხვა რა არის კარგი, რომ საჯარო საჭკითხველო იყოს მოწყობილი, სადაც შეძლებულიყო გვეშოვნა „საბუთის ქაღალდებიც“.

მე ვეცდები ზემორე აღნიშნული საკითხები გავაშუქო მხოლოდ იმ საბუთებით, რომელიც პირადად ჩვენ გვახსოვს, ან გვინახავს ჩვენი ოცდახუთი წლის დაკვირვების დროს ქართულ ცხოვრებაში.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყოველგვარი „ახალი მოძრაობა“ ჩვენ შორის, დაიბადა და გაიზარდა ჩვენს ხელში: ზოგში ჩვენ თვითონვე ვიღებდით მონაწილეობას, ზოგს ვეკამათებოდით და ვამხილებდით, ზოგისგან ჩვენ თვითონ ვსწავლობდით— თუ რა უფრო საჭირო იყო საქართველოსა და ქართველის ხალხისათვის,—გვიმუშავნია და გვითანამშრომლნია ყველა ჩვენ „დიდ“ ჟურნალ-გაზეთებში დაწყებული გ. წერეთლის „კვალიდან“ და გათავებული „სამშობლოთ“ი, ჩვენი თვალით გვინახავს დიდი კრებები ჩვენ დაწესებულებათა, მოგვისმენია სიტყვები და წაგვიკითხავს კამათობა უკანასკნელ ოცდახუთი წლის გამოჩენილ მოღვაწეთა ეგ. ნინოშვილიდან კიტა აბაშიძემდე: დასასრულ, უმრავლესობა ყველა იმ მუშაკთა, რომლებიც დღეს „სახალხო-ზვირთ-მეგობრიდან“ გვიკიჟინებენ და ჰკუას გვასწავლიან ჩვენ ხელში არიან გაზრდილნი, ჩვენ ხელში შეისხეს ფრთები და ამოიდგეს ენა—და, მაშასადამე, ჩვენი ცნობანი არ იქნებიან იმდენად მდარენი, რომ ყურადღებისა და ნდობის ღირსნი არ იყვნენ.

ჩვენ ვეცდებით სრულიად მიუდგომლად ყოველივე ჯგუფურ ქინიანობის გარეშე, სამართლიანათა და, როგორც შეეფერება ყოველივე პატიოსან ადამიანს—რომელი მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, გადმოგცეთ ის, რაც გვინახავს და გვიგრძნია.

და, თვით მკითხველმა იანგარიშოს რომელ აწ მოქმედ მიმართულებას, რა გაუკეთებია, ან რომელ ჯგუფს რა ესაყვედურება, ან რომელ ჯგუფსა თუ მიმართულებასა აქვს სასაყვედურო, როცა ბაქიაობს და იმდენი კი არა გაუკეთებია რა იმ ტანჯული ერისათვის, რომელსაც ჰქვია ქართველი ხალხი მთელის თავის შემადგენლობით

ია გვალაძე.

(შემდეგი იქნება).

---

*) ჩვენ მთელის ჩვენის არსებით პროტესტს ვაცხადებთ საქართველოში **ხალხოსნურ** საქმისათვის მომუშავეების **„მემარჯვენეთა** და **მემარცხენეთა“** დაყოფისათვის, როგორც მას სხადიან „სახალხოელ-ზვირთელები“ და ხშირად „თანამედროვე აზრიც“. ჩვენში შეიძლება იყვნენ მომხრენი ხალხის მონობისა, ხალხის დაბრიყვებისა, ქონებრივ-ზნეობრივ ბატონყმობისა,—ამისთანებს მაშინ ჩვენ უნდა პირდაპირ დავუძახოთ **შავ-ბნელი ძალები.** დანარჩენნი კი, ისინი, ვინც ერის, ხალხის გათვითცნობიერებასა სცდილობს ამა თუ იმ გზით, ყველა პროგრესისტები, ხალხოსნები არიან და მათი „მემარჯვენეთა“ თუ „მემარცხენეთა“ დაყოფა მხოლოდ ავადმყოფური ქინიანობა იქნება. შეიძლება ამ პროგრესისტებში ზოგი გადაჭარბებული მეოცნებე იყოს, ზოგს ერთის ხელის გაქნევით (რევოლიუციით) სურდეს ხალხის გათავისუფლება, ზოგი კი იყოს მომხრე ხალხის თანდათანობით (ევოლიუციით) გათვითცნობიერებასა, მაგრამ ორივე ჯურის მოღვაწენი ხალხოსნები, დემოკრატები არიან და მათი დაპირდაპირება, ისე როგორც ერთმანეთს ვუპირდაპირებთ ხოლმე შავრაზმელებსა და ბნელ ძალებს ხალხის მოყვარეებს დიდი უსამართლობაც არის და დიდი მავნებელიც [illegible] ხალხისათვის, მეტადრე ჩვენში,—საქართველოში!.. ავტ

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

გაზ. „საქართველოს“ საკუთ. კორესპ. ატყობინებს.

მოსკოვიდან სასწრაფოდ გაიგზავნა ტრაპიზონში ბოქაულები, მათი თანაშემწენი და ასი პოლიციელი.

◆ სინოდის ერთი ნაწილი წინადადებას იძლევა ტრაპიზონის ეკლესია საქართველოს საექსარხოსოს შემოუერთდეს.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მახარაძე სთხოვს გუბერნატორს, რომ გაადიდონ დარაჯების შტატი 130 კაცამდე, რადგანაც დარაჯების სიმცირე ხშირათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს პოლიციას, როგორც, მაგალითად, საფირჩხიაზე ამ ჟამად მოხსნეს სადარაჯო „პოსტი“.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზე სხვათა შორის, გაირჩევა 1916 წლის ქალაქის ხარჯთაღრიცხვა, ქალაქის წყალსადენის, ტრამვაისა და კანალიზაციის საკითხები.

◆ სოხუმის ქალაქის თვითმართველობა ამ ჟამად იმუშავებს 1916 წ. ქალაქის ხარჯთ აღრიცხვას და არკვევს იმ საკითხს, დაარსდეს თუ არა ქალაქში დასახიჩრებული ჯარის კაცთათვის სახელოსნო, რომ ისინი საზოგადოების მეტ ბარგად არ შეიქნენ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა სამი კვირის ვადა მისცა, რომ საოჯახო საქმეები მოაწესრიგონ ამას წინათ გადასახლებულ სიმონ ცინცაძეს და ელ. ხამაშურიძისას, რომელთაც ბრალდებოდათ ჯარის კაცთა განთავისუფლება სამხედრო ბეგარისაგან

◆ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, თავის მხრით იშუამდგომლოს შინაგან სამინისტროსთან, რომ ქალაქს გაისტუმროს ნაწილი 19203 მან. და სამი აბაზისა რომელიც დაედვა ქალაქს, ქალ. საავადმყოფოს ასაშენებლად

◆ ქუთაისში 1—16 აპრილამდი შემდეგი სანოვაგე შემოვიდა კართოფილი ერთი ვაგონი, სიმინდი 1 ვაგ. თივა 23 ვაგ., შაქარი 1 ვაგ. ქვანახშირი 4 ვაგ ქატო 4 ვაგ. შეშა 11 ვაგ. მარილი 2 ვაგ. პურის ფქვილი 11 ვაგ. სხვადასხვა სანოვაგე 3403 ფუთი.

◆ ამ ჟამად ქუთაისში არის შემდეგი სანოვაგე სიმინდი 341 ფუთი, ფქვილი 11995 ფუთი, კრუპა 421 ფუთი, ბრინჯი 518 ფუთი, შაქარი 374 ფუთი, ქონი 945 ფუთი, თევზი 165 ფუთი, მარილი 10 39 ფუთი, ბზე 2590 ფუთი, ქატო 300 ფუთი, შეშა 25 ვაგ. ქვანახშირი 135 ფუთი მაზუთი 610 ფუთი, ნავთი 545 ფუთი, სანთელი 57 ფუთი, წუმწუმა 1990 ცალი საპონი 161 ფუთი, თივა 1793 ფუთი

◆ ქალაქის გამგეობამ შემდეგი რიგი მისცა სხვადასხვა ვაჭარს. ადგილობრივი რიგით თივისათვის 3 ვაგ ბზისათვის 2 ვაგ ქატოსათვის 6 ვაგ. თევზისათვის 4 ვაგ. ქვანახშირისათვის 4 ვაგ. მაკარონისათვის 1 ვ. ცემენტისათვის 2 ვაგ შეშისათვის 41 ვაგ ხეტყის მასალისათვის 4 ვაგ. ცარცისათვის 1 ვაგ. რკინისათვის 2 ვაგ სხვადასხვა საჭიროებისათვის 3 ვაგ ზღვით ფქვილი 15 ვაგ., სიმინდი 30 ვაგ ქატო 5 ვაგ. რკინის გზით სიმინდი 24 ვაგ. მარშრუტის [illegible] ფქვილი 115 ვაგ სიმინდი [illegible] თვის 30 ვაგ.

◆ მეფის ნა [illegible] 22, და 23 აპრილს კავკასიის ყვე ლა ადგილების ფოსტა-ტელეგრაფ და სატელეფონო სადგურების მოსამსახ რენი გამართავენ ყულაბებით ფულ შეგროვებას, ჯარისკაცთა სასარგებლო

◆ 22 აპრილიდან ქალ. თეატრში სა დღის განმავლობაში სახაზინო თეატ ბის 3 ი. ამირავოს დირექცია გამართა საყურადღებო კონცერტს ცნობილ ქალ მარიამ პეტრეს ასულის კომაროვისას.

◆ 16 აპრილს, სუფსის სადგურიდ ექვსის ვერსის მოშორებით, თავისი მ მულის მახლობლად, მოჰკლეს ცნობი მემამულე ვანო გურიელი

ფოთი

— **შაქრის რეკვიზიცია.** საგუბერნ თათბირის განკარგულებით ფოთში რ კვიზიცია მოახდინეს შაქარზე.

— **განყოფილების გახსნა.** ქართვე ლი საქველმოქმედო საზოგადოების გან ყოფილებანი რაჭასა და ლეჩხუმშიაც ი ნება. საზოგადოების მთავარმა გამგეობ თავ. შ. ი გელოვანს მისცა რწმუნებ ქაღალდი გახსნას განყოფილებანი აღნიშ ნულ ადგილებში

— **ხოლერა სოფლად.** როგორ ცნობა მოვიდა, რაჭაში ხოლერა აღმო ჩენილა

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

სტოკჰოლმი. 18 აპრილი ბერლინი დან იუწყებიან, სტოკჰოლმში მყოფ გერ მანიის დესპანისთვის ოსმალეთის გარე საქმეთა მინისტრს განუცხადებია: ამ ახლო მომავალში მოხდება ოსმალეთ-გერმანიის შორის საკავშირო ხელშეკრულების რ ტიფიკაცია, რომელმაც, სხვათა შორის უნდა გადასინჯოს კაპიტულიაციის ქმების სიკითხი.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 18 აპრილი. ჯუჯიკარიის სუმნის ველთ საარტილერიო ბრძოლ ხდებოდა 10 აპრილს მტერმა ბრძოლ განაახლა შუა იზენეს მახლობლად. კარსოსთან საარტილირიო შეტაკებები ხდე ბოდა

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. გენერალი ჰერი იტყობინება: ჩვენ მარჯვეთ მოვიგერიეთ მტრის ყველა იერიშები, გუშინდამ ფრიკურსთან და ბესინთან მტერმა უშედეგო იერიშ მიიტანეს ვისტეჰსა და ლოსაში ნაღმო სნების ბრძოლაა.

ირლანდიის აჯანყება

ლონდონი. 18 აპრილი. ოფიციალ ლონდონში ოფიციალად ატყობინებენ დუბლინში მდგომარეობა უფრო სანუ შოა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავ ნილ ჯარის სარდალი იუწყება, რომ აჯა ნყება თითქმის ჩავქრეო. ღამით მეამბ ხეთა მეთაურებს კაცები დაუგზავნია, რომ ყველა მეამბოხე მთავრობას დამორ ჩილდესო, სამღვდელოება თავის მხრ მთავრობას მხარს უჭერს და აჯანყებუ ლებს დასამშვიდებლათ მოუწოდებს. დუ ბლინში საკვილის ქუჩაზე აჯანყებულ ბი მორჩილებას აცხადებენ. დღემდე მთავრობას სულ ტყვეთ წამოყვანილი 707 მეამბოხე. მარკევიჩთან-ენისკირის სკირთის საგრაფოებში მეამბოხეთ კიდე დაუკავებიათ რამდენიმე ადგილი ირლანდი დანარჩენ ნაწილებში, სააგენტოს დეპეშ გადმოცემით, ცხოვრების ნორმალი მდ დინარეობა არ შეცვლილა.

ქუთაისის ქალაქის საბ ჭოს სხდომა.

18 აპრილი.

კრება იწყება 9 საათსა და 15 წუთზე თავჯდომარეობს ქალაქის მოურავი ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანი

საბჭოს მდივანი კითხულობს წარსულ კრების ოქმს, რომელსაც საბჭო ერთხმა ამტკიცებს

ალ. კრინიცკი: მე აქ ვხედავ გამგე ობის მეორე წევრს და თუ შეიძლება გვ გვაგებინეთ ამის შესახებ ცნობები ჩვ მხოლოდ პრესის საშუალებით გადმო ცეს, რომ არდიშვილი დაამტკიცეს

მდივანი კითხულობს გუბერნატორ გამოგზავნილ ოფიციალურ ქაღალდს.

ლანდარაშვილი აღნიშნავს, რომ ხიდთან რეცხვენ ტყავს და მთელ რეს ატანენ მდინარეს. ამ გარე- არავინ აქცევს ყურადღებას. აღ- აგრეთვე, რომ ქალაქის ბაღთან იყრიან თავს დილდილით და დი- ობა ხდებაო.

ბადრიძე ისევ უბრუნდება **არდილის** დამტკიცების საკითხს და ამ- მე მოვითხოვ, თუ შესაძლებელია რა მიზეზით არ დაამტკიცეს უმ- რობისაგან ამორჩეული ქალაქის გამ- წევრის ადგილას ს. წერეთელი.

თავჯდომარე ორი კანდიდატის შო- რომელიც ჩვენ წარვადგინეთ, მიუ- იმისა, რომ ერთს ჰქონდა მეტი და მეორეს ნაკლები, თუ ის გა- ლი არ არის, გუბერნატორს სამო- წესდების ძალით უფლება ეძლევა ერთი მათგანი დაამტკიცოს. რაც ბ. ნ. ს. წერეთელს, ის მიტომ არ ცეს, რომ მას სენატის უკანას- განმარტების მიხედვით არ ჰქონდა ყოფილიყო არჩეული ქალაქის გა- წევრად. და თუ რად დაამტკი- დიშვილი ამაზე ჩვენ არავითარი არ გვაქვს კრიტიკა გავუწიოთ.

ნიძე: დამტკიცება არ არის კა- ი. სამოქალაქო წესდების ძალით, ც ცენზზე არის ლაპარაკი, მაშინ ნატორი მოვალეა გადასცეს გან- ლათ საკითხი სამოქალაქო სარე-

ულესიანი: როდესაც ცენზზე არის მაშინ მთავრობის უფლება ისა- მე მივმართავ უმრავლესობას, მაც აირჩია ს. წერეთელი, დაიც ვისი უფლება.

თმართველობის წარმომადგენელი ე იყო, სადაც ჯერ არის, დაეცვა ლესობის სურვილი, მაგრამ, სამწუ მე წინაალმდეგს ვხედავო.

ტორი წინადადებას აძლევს საბჭოს მე გაასაჩივრონ სენატში.

ავჯდომარე. მართალია, ცოტა მო ლობის რედაქცია სუსტია. მაგრამ მაინც არავითარი საბაბი არ გვაქვს, დაწყვეტილება გავასაჩივროთ.

ჩიქვაიძის აზრით, ეს საკითხი, თუ ჩივრებელია უნდა გაასაჩივროს და- რესებულმა პირმა, ე. ი. წერეთელმა რა ჩვენ.

ფანცხავა: ეწინააღმდეგება ჩიქ- და ამტკიცებს, რომ ამ საქმეში საბჭო არის დაინტერესებული უნდა გაასაჩივროს დამტკიცების ობაო.

მ. მაჭავარიანი: ბ-ბო, მე ვატყობ, საღამო მხოლოდ ამ საქმისთვის დანიშნული და სხვა ფრიად საჭირ ტო საკითხს ვერ ვასწრებთო

ავჯდომარე რადგანაც გუბერნატო ცირკულიარში არაა მოხსენებული ვი, ჩვენ არავითარი უფლება არ საკითხი გავასაჩივროთ და ამ ხს ვხსნი წესრიგიდან.

დრიძე: უბრალო ზრდილობა მოი ა, რომ ახლად დამტკიცებული გამ- ის წევრი წარმოგვიდგინოთ ჩვენთვის მდეგ დაეკავებინა თავისი ადგილი.

ავჯდომარე: დიაღ, როდესაც ეს და სხვას, რომელსაც თქვენ კარგად ებით, მაშინ არ ამბობდით ამას

ქ მაჭავარიანი: მე მაკვირვებს ექ- ძის ნატაციების კითხვა.

ბარათაშვილი: ქუთაისში უკუ თი ლაპარაკი და მოქმედება არ მი- ბ-ნო, თქვენ მოგახსენეს, რომ რნატორის სურვილის საწინააღმდეგო რი არ შეგვიძლია კანონითო და ვე ამის შესახებ კამათის შეწყვე- მე მიკვირს, რატომ მისცა თავჯდო- რებას ასე გაეგრძელებიათ ლაპა- მორიგი საჭირო საკითხები კი ყო- თვის სამერმისოდ იდება.

ავჯდომარე. მართალია, მაგრამ მე ედ მიტომ მივეცი მათ ასე ლაპარა ება, რომ არ ექნესთ საბუთი, ვითომც ნებს ვაძლევ სიტყვას და მათთვის ესპოტი ვიყო

დი უმრავლესობის სურვილისამებრ მ შესწყვიტა ამის შესახებ ლაპარაკი.

ავჯდომარე წინადადებას აძლევს ს, რომ ამოირჩიონ ქალაქის თვით- ველობიდან ორი წარმომადგენელი პრილს თბილისში ერობის საკითხის ვის დროს დასასწრებლად. ამის შე- ლეძარი შუამდგომლობა და, თუ თავე მივიღეთ, ის ამორჩეული პი- ქალაქის მოურავთან ერთად მიიღებენ წილეობას.

ირჩევენ **ზველესიანს და ნაზაროვს**

საბჭომ აგრეთვე დაადგინა ამის შესახებ ეთხოვოს ქუთ. გუბერნატორს, რომ თავისი მხრით იშუამდგომლოს მეფის მოადგილესთან. შემდეგ საბჭო იღებს პურზე დროებით ნიხრს 5 დღით, ვიდრე ის ფქვილი გამოილევა, რომელიც მეტ ფასათ დაუჯდათ. პირველი ხარისხის ფურნის პური 24 კაპ. მეორე—23 კაპ. მესამე—21 კაპ. თორნის პური კი თითო კაპიკით მეტი. მოელიან 60 ვაგონ ფქვილს და მაშინ ჩვეულებრივ ნიხრზე გაყიდიან.

ლორთქიფანიძე შიშობს, ვა თუ ამ დროებით ნიხრს მეპურეები შეეჩვიონ და მერე მათ ალვირახსნილობას საზღვარი ველარ დაუდვათო.

მაღრაძე თუ აქ ტომარა ფქვილზე თბილისიდან მოტანილს 1 მან. 35 კაპ. ემატება და იქ კი $2^{1}/_{2}$ კაპ. იყიდება ასეთი პური რატომ არის, რომ აქ ასე ავსწიეთ ეს ფასი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მესამე ხარისხის პურს ჩვენი მეპურეები 24 კ. გაყიდიან, ამიტომ, მისი აზრით, საჭიროა მეპურეები აიძულონ გამოაცხონ მესამე ხარისხის პური და გაყიდონ. 21 კაპ

შემდეგ გადადიან ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ახალი შტატის შემუშავების საკითხზე. დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს სპეციალურად იმის თაობაზე შეიკრიბონ ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ზედიზედ და დაიჩქარონ ამის გადაწყვეტა.

კრება დასრულდა ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე.

ა—კი.

ინგლისი და ირლანდია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისმა, რომელიც ამ ჟამად გარეშე მტრებთან ბრძოლაშია გართული და რომელიც ასე რიგად საჭიროებს შინაური მტრის სიმშვიდეს ანუ „შინაურ ზავს", რათა ციხე შიგნიდან არ ვატყდეს, აჯანყებულ ირლანდიის წინააღმდეგ უკიდურეს სასტიკ ძალას მიმართა.

ირლანდიის ხალხის თავისუფლების სურვილის აღიარებას და მის მოთხოვნას ლორდ კიტჩენერმა და ასკვიტმა დუბლინში ლაშქრისა და ზარბაზნების გაგზავნით უპასუხეს.

თუ დავუჯერებთ სააგენტოს დეპეშებს, ასკვიტსა და კიტჩენერს მიზნისთვის უკვე მიუღწევიათ: 18 აპრილის თარიღით სააგენტოს დეპეშა გვატყობინებს: აჯანყებულთა მეთაურები დამორჩილების გზას დაადგნ, და მათ თავის სხვა და სხვა ადგილის თანამოაზრეთ აცნობეს, რომ მათაც მთავრობას მორჩილება განუცხადონო ამავე დეპეშიდან ვგებულობთ, რომ დუბლინში მთავრობას უკვე შეუპყრია 767 მეამბოხე ამ რიგათ, თუ ეჭვის თვალით არ შევხედავთ დეპეშის ცნობას, აჯანყებას დაწყებისთანავე აქრობენ. ინგლისის მთავრობა, რომელიც ყოველთვის მგლის თავზე სახარების წაკითხვას სცდილობს, ხალხის სამართლიან მოთხოვნილების წინაალმდეგ თოფ-ზარბაზნების წყალობით ირლანდიაში „სტატუს ქვოს" ინარჩუნებს ასეთია ძლიერთა პსიხიკა: თუ კი შესძლებს, ყოველთვის ყმად გაიხდის უძლურს; მისთვის სამართლიანობის პრინციპის დაცვა იმდენათ სავალდებულოა, რამდენათაც ეს მის ძლიერებისა და ბატონობისთვისაა მიუცილებელი.

პატარა ერებმა უნდა შეიგნონ, რომ ძლიერი სახელმწიფო არას დროს არ იქნება მისი გულწრფელი მეგობარი და მფარველი, და თუ დღეს რომელიმე ძლიერი სახელმწიფო ამა თუ იმ პატარა ერს ესარჩლება—ეს ხდება ფარისევლობით და თვით ძლიერის ინტერესების საჭიროებისათვის; ნამეტურ დღევანდელ უმაგალითო მომენტში, როდესაც ბევრი ერის არსებობის ბედი ბეწვზე ჰკიდია, პატარა ერებს მმართებსთ ძალიან დიდი დაკვირვება და არა აღფრთოვანებითი ავანტიურის გზაზე დადგომა, რომ მით ისედაც თავის დასნეულებული საბედისწერო სხეული უფსკრულში არ გადაჩეხონ.

Ser.

სამღვდელოების დეპუტაცია ეგზარხოსთან.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იმერეთის სამღვდელოების დეპუტაცია 12 ამ თვეს გაემგზავრა თბილისს. დეპუტაცია მეორე დღესვე წარუდგა მის მაღალყოვლად უსამღვდელოებას, საქართველოს ეგზარხოსს მთავარ ეპისკოპოსს პლატონს. დეპუტატებმა სიტყვიერაც და წერილობითაც მოახსენეს მათ მეუფებას საქართველოს ეკლესიისა და მისი სამღვდელოების აუტანელი მდგომარეობის შესახებ. მოახსენეს, დღიდან ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში მწყემსთა და სამწყსოთა შორის დამოკიდებულობა ბუნებრივი და ძალდატანებული იყო თუ სამღვდელოებამ თავს იდვა მოძღვრისა და სკოლის სწავლების მოვალეობა, სამწყსომაც თავს იდვა მისი საზრდოობა იმ საფუძვლით, რომ „მუშაკი ღირს არს სასყიდლისა"-ო. ამიტომაც მოწაფემ მოძღვარს წილი დაუდვა წლის მოსავალში და ამას ჩადიოდა ის ეკლესიისა და მისი მსახურის სიყვარულისა და პატივისცემის გამო. ამ სიყვარულითა და პატივისცემით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ის საუკეთესო მამულსა და შენობას სწირავდა ეკლესიასა და მონასტრებს, ამკობდა მათ ძვირფასი ნივთებითა და თვალ მარგალიტებით. ამას მოწმობენ დღეს აუარებელი ძველი ნაშთი ტაძარ-მონასტრები და მათი სამკაულნი, რომელთაც დღეს განცვიფრებაში მოჰყავსთ მეცნიერნი თავისი სიდიადითა და ხელოვნებით.

ამ ბედნიერ დროს ყოველი ქართველი მეცადინობდა, რაც შეიძლებოდა მეტი შეეძინა ეკლესიისათვის, მეტი გაელო მის სასარგებლოთ. ამ მხრივ ერთგვარი გაჯიბრება იყო ჩვენში და ვისაც კი კარგი რამ გააჩნდა ეკლესიისთვის უნდოდა, მისთვის ემეტებოდა: სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 9/10 იმ მამულისა, რომლითაც დღეს განაგებს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო შენობათა სამართველო, საეკლესიო არის.

მაგრამ დროთა ვითარებისა გამო საქართველოს ეკლესიის მწყემსთა და სამწყსოთ შორის აღიმართა შუა კედელი, რომელმაც განაცალკევა, დააშორა ესენი ერთმანეთს და მათი მამაშვილური დამოკიდებულება შეიცვალა ძალდატანებითი და სავალდებულო დამოკიდებულებით. აი, აქ ჩაინერგენ მათ შორის უკმაყოფილებისა და სიძულვილის ჩამომგდები გარემოებანი. აქ სამღვდელოება ორ ცეცხლშუა მოემწყვდა. ხალხს არა სურს შეინახოს ის თავისი საშუალებით და მიუთითებს მას საეკლესიო მამულებზე, ამ მამულებს კი მთავრობა დაეპატრონა და ამგვარად სამღვდელოება დღეს გარიყული შეიქნა.

ის ორ-ორი მანეთი; რომელიც ხალხმა კომლზე გაიღო მღვდლის სასარგებლოთ ბოლოს და ბოლოს ისეთ უხერხულ პირობებში ჩააყენეს, რომ მის აღებას აუღებლობა სჯობია. ნამეტურ როცა ამ ფულის აკრეფა სოფლის მოხელეების ხელში გადავიდა. ამათ ეს ფული ხარკს შეურთეს და რასაც შეძლებულთაგან აკრეფდენ ხოლმე ხაზინაში აგზავნიდენ და რაც ღარიბებზე დარჩებოდა ამას მღვდლისათვის სტოვებდენ. მაგრამ, რადგანაც ღარიბებისაგან ნებით აღება შეუძლებელი იყო, ამიტომ ესენიც ძალას მიმართავდენ ხოლმე დაარბევდენ საცოდავთ. ართმევდენ სამეურნეო და სხვა რამ საოჯახო ნივთებს და ოხრის ფასად უყიდდენ საბრალოთ ვითომც მღვდლის მიზეზით, თუმცა მღვდლის დრამა ან სულ არ ერია, რადგანაც მღვდელი ქვრივ-ობოლთა და ღარიბთ ანთავისუფლებდა ხოლმე და თუ ერია უმნიშვნელო ნაწილი. ამ დარბევის მიზეზად ხალხი თავის მოძღვარს თვლიდა და ამიტომაც ამხედრდა მის წინააღმდეგ და 1905 წ. ხომ სრულებით პირი იბრუნა მოძღვარისაგან. ამას ის არც მთავრობას უმალავდა და არ უმალავს დღესაც. ამგვარად დრამის გარშემო ატეხილმა ალიაქოთმა დღემდისაც მოაღწია და დღეს დრამის შესახებ კრინტის დაძვრაც კი არ შეიძლება, რადგანაც ხალხი დღეს უმისოდაც გაჭირვებას განიცდის. ერთის მხრით ომის და მეორეს მხრით ამ ბოლო ხანს გამოწვეულ სიმშილობისა, წვიმებისა და წყალდიდობის გამო, რომელმაც ერთბაშად გაანადგურა და წალეკა მთელი სოფლები, ყანები და ვენახები, იმსხვერპლა აუარებელი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი და ადამიანიც კი და მუშა ხელის ნაკლულობამ იმდენათ დასცა და დააზარალა ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა, რომ მთავრობის დაუხმარებლად ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ასეთმა შექმნილმა გარემოებამ თავისი გავლენა იქონია სამღვდელოების ქონებრივ მდგომარეობაზეც, რომელიც ამ მხრივ ხალხზეა დამოკიდებული. ეს გაჭირვება გაორკეცა კიდევ სანოვაგის მეტისმეტმა სიძვირემ.

ამ გაჭირვების დროს არსაიდან შემწეობა და დახმარება არა აქვს სამღვდელოებას. ხალხისაგან ხელდარეკილი მთავრობისაგანაც უმწეო შეიქნა, თუმცა სხვა უწყებათა მოხელეებს დახმარება აღმოუჩინა დღიურისა და ჯამაგირების გაორკეცებით. სამღვდელოება კი მათში გამონაკლისს შეადგენს და ის ჯამაგირი, რომელსაც დღეს ის იღებს ე. ი. მღვდელი 20 მანეთამდის და მედავითნე 7 მანეთამდის თვეში, მეათედს მისს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და ისიც მაშინ, როცა მას არც ბინა და არც სამუშაოთ მიწა არ აქვს მიცემული, როგორც ეს რუსეთშია. ერთი სიტყვით, სამღვდელოება ისეთ ეკონომიურ კრიზისს განიცდის რომ, თუ მთავრობა დროით არ მიეშველა, მერე გვიანღა იქნება, ისეთ ცუდს გავლენას იქონიებს ეს გარემოება. ეს გავლენა რამოდენიმეთ დღესაც სჩანს. განათლების მქონი დღეს არავინ მიდის მღვდლათ. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამი სემინარიელი ეკურთხა მღვდლათ და ისიც ორი საღმრთო სჯულის მსწავლებლათ და ერთიც სალდათობის შიშით. აბა ამგვარ ქონებრივ მდგომარეობისა და იმ ზნეობრივ დამცირებისა გამო, რომელშიაც დღეს სამღვდელოებაა, აბა ვინ ცოტაოდენი ცოდნისა და უფლების მქონი წავა მღვდლათ და ისიც თუ ვინმე მიდის მღვდლათ, ისევ ნახევრათ უვიცი, რომელთაც კითხვა კი არ იციან, არამც თუ წაკითხულის გაგება აქვთ. თუ საქმე ასე წავიდა, შორს არ არის ის დრო როცა ეკლესიაც და ხალხიც ამ უვიცთ შერჩებათ ხელში. ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მთავრობისა და რამოდენიმეთ მაინც დღევე იქნეს სამღვდელოება დაკმაყოფილებული კრებულზე 1200 მანეთის დანიშვნით და ხალხი დრამისა და სხვა სამღვდელო გადასახადებისაგან განთავისუფლებული, მინამ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ძირითადი რეფორმები მოხდეს, რასაც ჩვენ მესიასავით მოველით.

მისმა მეუფებამ გულდასმით და ყურადღებით მოისმინა ეს მოხსენება და გულწრფელათ აღუთქვა უმაღლეს მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობა აღძრა.

რადგანაც თვითონაც პრინციპიალური მომხრეა სამღვდელოების ჯამაგირით უზრუნველ ყოფისა.

ეგზარხოსი დიდხანს ესაუბრა დეპუტატებს საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვაზე. ამ საუბარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ორთავ მხარეზე და დეპუტაცია სრული კმაყოფილი დაბრუნდა 14 ამ თვეს.

სიტყვა.

წარმოთქმული ძირულის სამკითხველოს კურთხევის დროს ბლ. მღვდ. დავ. სუხიაშვილის მიერ.

ალფრთოვანებული სულითა და გულით გილოცავთ, პატივცემულო ძირულის საზოგადოება, თქვენ შორის დღეს ოფიციალურათ დაარსებას კულტურული დაწესებულების—სამკითხველოისას.

უზომოთ მიხარია, რომ დღეიდან თქვენ ამ პატარა დაბაში, სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად, გვქნებათ დიდათ მნიშვნელოვანი და საამაყო დაწესებულება—წიგნსაცავ-სამკითხველო, სადაც იქნება მოთავსებული ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები და ქართული ლიტერატურული წიგნები ჩვენი ძვირფასი მწერლებისა, საიდანაც პატივცემულნი მკითხველნი გაეცნობიან და შეისწავლიან ქართულ ლიტერატურას და ჩვენს სამშობლოს წარსულსა და მომავალ ჭირვარამს; გაეცნობით და აშკარა [illegible] პრესის ლიდერის ჟურნალ-გაზ[illegible] თუ რომელი არიან ჩვენში დასაგმობი ზნე-ჩვეულებანი და მიიღებთ ცოდნას, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ გავხდეთ ნამდვილი ადამიანები და სამშობლოს საიმედო შვილები

სამკითხველო არის მეორე სკოლა მიმწოდებელი და გამავრცელებელი მკითხველთა შორის სწავლა-განათლებისა.

დღევანდელ ხანაში სკოლები შეზღუდული არიან წლოვანების მხრით და სამკითხველოთი კი შეიძლება ისარგებლოს ყველამ განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა, წოდებისა და ეროვნებისა.

ზედმეტად მიხარია, რომ ასეთი გონებრივად განმავითარებელი დაწესებულება დაარსდა ამ პატარა დაბაში ვაჭრებთა შორის, სადაც, როგორც სხვა ბაზრებში, უვაჭრობებისა გამო ხშირად ჩამოვარდება ხოლმე უსაქმოება და ამ დროს თავის გასართობათ უბრალოდ დროს ჰკარგვენ კარტის თამაშითა და სხვა გასართობებით. თუმცა აქ ჩვენ ასეთი არაფერი შეგვინიშნავს, მაგრამ მოსალოდნელი. იყო, და დღეიდან კი სრულიად დაიმედებული ვარ, იმ თავისუფალ დროს წიგნების კითხვას მოანდომებენ და მიეჩვევით სასარგებლო შრომასა და საქმიანობას.

აი, როგორი სასიქადულო და სასარგებლო დაწესებულება დაიარსეთ თქვენის შემწეობით და წვლილის გამოღებით, დიდად პატივცემულნო ჩემო სულიერო შვილებო!.

დღევანდელი დღე ღირსია აღინიშნოს ოქროს ასოებით ძირულის საზოგადოების მატიანეში.

მაშ, ვუსურვებ ამ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას აღორძინებასა და აყვავებას, რომელიც მოხდება თქვენის ყურადღების მიქცევით და ჩემის მხრით ამხანაგური ხელის შეწყობით.

თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენი პატარა ძირულა დაადგა გამოღვიძების გზას, რასაც აშკარად ამოწმებს ის გარემოება, რომ ჩვენ უკვე გვაქვს სხვა კულტურული დაწესებულებანიც: მაგალითად: ორ კლასიანი სასწავლებელი, ფოსტა, კოოპერატიული დუქანი, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, სახელმწიფო შემნახველი კასა და აფთიაქი.

სრული დაიმედებული ვარ, რომ პატივცემული გამგეობა ჩვენი სამკითხველოისა სასიქადულოთ აცოცხლებს მას თქვენი ენერგიული შემწეობით და დახმარებით; მადლობას ვუძღვნი იმ მოწინავე პირებს, რომლებმაც იშრომეს და ეს დიადი საქმე მოაგვარეს.

დასასრულ არ შემიძლია უღრმესი მადლობა არ შევსწირო მობრძანებულ სტუმრებს, რომელნიც თავისი მობრძანებით ჩვენთან ერთად გამოხატვენ უზომო სიხარულს ჩვენ პატარა ძირულაში ამ კულტურულ დაწესებულების დაარსებისათვის და იმედი მაქვს ეს პატივცემულნი პირები მომავალშიაც არ მოაკლებენ ჩვენ სამკითხველოს თავის ყურადღებას.

ამერიკა და გერმანია

გერმანული გაზეთი „ბერლინელ ტაგებლატი"-ის მთავარი რედაქტორის, ვოლფის აზრით ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის მთავარი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ წყალქვეშ მავალი ნავებისგან მშვიდობიანი, არა სამხედრო მგზავრები არ იღუპებოდენ: ბრძოლა ისე უნდა მოეწყოს რომ გემის აფეთქების დროს მგზავრთ საშუალება მიეცესთ გადარჩენისა. გერმანელები, ვოლფის აზრით, ბედნიერად ჩასთვლიდენ თავს, წყალქვეშ ბრძოლა თუ კი ისე მოეწყობოდა, რომ სამხედრო პირებთან და ფლოტთან სამხედრო სასიცოცხლო შეტაკებაც შესაძლებელი იქნება და იმავე დროს მგზავრების და გემის მოსამსახურეების გადარჩენაც მოსახერხებელი. ამას რაღა აჯობებდა: სხვა სიკეთესთან ერთად ამას ისიც მოჰყვებოდა, რომ ამერიკასთან კონფლიქტი დასრულდებოდა და მასთან კავშირს გერმანია აღარ შესწყვეტდა გერმანიის ხალხი და პრესა, გარდა იუნკერულისა, ამავე აზრის არის! მათ არ სურთ ამერიკასთან გერმანიამ კავშირი გაწყვიტოს და ომი გამოიწვიოს, ამიტომაც დაფაცურდა

გერმანიის მთავრობა ამ კონფლიქტის გამო და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჩააქროს იგი; ეს მეორეთ გაემგზავრა კანცლერი მთავარ ბინაზე ვილჰელმთან, რომ რაიმე გადაწყვეტილებას დაადგეს ყველაფერი ამ ორ დღეში გამოირკვევა, თუ რით უპასუხებს გერმანია ამერიკას მის მუქარაზე ამავე დროს პარიზიდან იტყობინებიან, რომ თითქო გერმანიის მთავრობას ხალხის უკმაყოფილების ეშინია და ამიტომ აგვიანებს პასუხსო. ამასთან დაკავშირებულია ის ამბავი, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო, რათა გერმანიაში მყოფი ამერიკელები იქედან დროზე გამოიყვანოს, რადგან ომის გამოცხადება არის მოსალოდნელიო.

რუსეთი.

იაპონელი კაპიტალისტები რუსეთში

იაპონიის მთავრობის დავალებით ოდესაში მივიდა მოსკოვის იაპონელი დესპანი ხირატა, რომელმაც მთელი რუსეთის სამხრეთის მხარე მოიარა იმის გამოსარკვევად თუ რამდენად საიმედო და მოსახმარებელია, რომ იაპონური საქონელი იაპონიის კაპიტალისტებმა რუსეთში გაასაღონ. ხირატამ განაცხადა, რომ ამ მიზნით იაპონელ კაპიტალისტებს განზრახვა აქვთ, რომ რუსეთში საექსპორტო დაწესებულებები დააარსონ: გამართონ მაღაზიები და მოაწყონ იაპონური საქონლის „გამოფენები“, მოგზაურობამ ბ. ხირატა დაარწმუნა იმაში, რომ ყველაფერი ეს იაპონიისთვის ადვილი მოსახმარებელია და რუსეთში საქონლის გასაღების სურვილს იგი მალე დააკმაყოფილებს.

საველე სამხედრო გასამართლება

ამ დღეებში ქალაქ ნიკოლაევში საველე-სამხედრო სასამართლომ ჯარში გაწვეულ ახალგაზდების საქმე გაარჩია. ორი ახალგაზდა პარკეტნიკი და მეერევიჩი მობილიზაციის დროს ჯარში გამოუცხადებლობისათვის გაასამართლეს და პირველს ექვსი წლის, ხოლო მეორეს რვა წლის კატორგა მიუსაჯეს.

უცხოეთი.

ახალი ს. დ. გაზეთის დაარსება საფრანგეთში.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთში ს. დ. პარტიის ოპოზიციონურმა ნაწილმა, რომელიც „ნაციონალურ საბჭოს“ სხდომაზე ხმების მესამედი მიიღო, ახლა ლონგეს (კარლოს მარქსის სიძეა) მეთაურობა ახალი გაზეთი ყოველკვირეული გაზეთი დაარსა, სახელათ „ლე პოპულერე“.

რუმინია და გერმანია.

გერმანიასთან რუმინიის სავაჭრო ხელშეკრულება უკვე სისრულეში მოჰყავთ: ამ დღეებში რუმინიაში გერმანიიდან უკვე მოვიდა ოცი ვაგონი, რომლებიც სამკურნალო მასალით არის დატვირთული.

რუმინია, როგორც წინადაც ვწერდით ასეთსავე ხელშეკრულობას დებს ოსმალეთთანაც ამაზე ახლა ბუქარესტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკებაც მალე სასურველათ დასრულდებაო.

წარმოუდგენელი სიძვირე.

როგორც ათინიდან იტყობინებიან, სტამბოლში ახლა საშინელი სიძვირე მძვინვარებს თურმე: პური ახლა იქ ყველასთვის სანატრელი გამხდარა — გირვანქა პური შვიდი აბაზია, შაქარია — ორი მანეთი.

ქართველ ჯარისკაცთა მდგომარეობა ქ მოსკოვში·

(წერილი მოსკოვიდან)

წელიწადი და ათი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც მთელი ევროპა, დღევანდელი ომის გამო ქარ ცეცხლშია გახვეული, ადამიანთა სისხლით ირწყვის მთელი მიდამო ომის სიმწვავე არ ასცდა მრავალტანჯულ ქართველ ერსაც, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მედგრათ იცავდა თავის სამშობლო — საქართველოს შემოსეულ მტერთაგან. თუ შევადარებთ ქართველ მეომრის წინანდელ მდგომარეობას დღევანდელთან, დავინახავთ, რომ მას წინად ხშირად თავის სამშობლოს საზღვრებში უხდებოდა მტერთან გამკლავება, მკურნალი თვისი ჰყავდა და სხვა. მე-XIX-ე საუკუნიდან კი მდგომარეობა იცვლება, ის თავის მიწა-წყალთან დიდი რუსეთის მიწა-წყალსაც იცავს და ამ დაცვასთან ერთად როგორც რუსის მეომართ გვერდით მტრის საზღვარზე ყოფნა უხდება, აგრეთვე — საავადმყოფოებსა და ლაზარეთებში დაჭრილ, დაავადმყოფებულ რუს მეომრის გვერდით წოლა და ყრუ-მუნჯათ ყოფნა.

აუტანელია ის მდგომარეობა, რომელსაც დაჭრილი ქართველი ჯარის კაცი რუსეთის ლაზარეთებში განიცდის, თუ მას რუსული ლაპარაკი არ ეხერხება და ან სრულიად არ იცის. მით უმეტეს ქართველი ჯარის-კაცის მდგომარეობა მწვავეა თუ მან ქართული წერა არ იცის, ვერ ჰკითხულობს მშობლისა და მისი ერთგული მეგობრის მოწერილ წერილს და ან გვერდით არ ყავს ქართველი - თვისი ერის შვილი, რომელსაც უნდა გაუზიაროს თვისი ტკივილები, მდგომარეობა ამცნოს გულის საიდუმლოება.

მე, როგორც მოსკოვში მყოფს, ხშირად მხვდა წილად ქართველი კაცის ლაზარეთში ნახვა, მასთან ლაპარაკი და მისი გარემოების გაცნობა. ბევრი რამ ვნახე. ბევრი რამ განვიცადე მე აქ ჩემი ერის დაჭრილ ჯარისკაცის ნახვით, მაგრამ მდგომარეობა ნებას არ მაძლევს ყოველივე ის ავსწერო, რაიც ჩემს თვალსა და გულს ემცნო. მოკლედ მაინც მსურს გავუზიარო მკითხველს ის ტკივილები, რომელიც აქ თვით ბზობა დღეს განვიცადე.

სმოლენსკის ბაღის გვერდით არის აშენებული დიდი უზარმაზარი, მრავალ სართულიანი სახლი. ეს სახლი ეკუთნის ტრავმატოლოგიურ ინსტიტუტს, სადაც მოთავსებულია ორი ლაზარეთი, ერთი სახელწოდებით სმოლენსკის გამანაწილებელი და მეორე თვით ამავე ინსტიტუტის სახელწოდებით ვეძებდი დაჭრილ ჯარისკაცს იასონ სიმსივეს. მისი ძებნის გამო სხვადასხვა ადგილს მიმასწავლეს; მეთვალყურე ქალმა მითხრა: „აქ ერთი ქართველი წევს რომელიც ყრუცაა და მუნჯიცო“. ცნობის მოყვარეობამ და ჩემმა მოვალეობამ მაიძულა მისი ისტორია სავსებით გამეგო: გვარი, სახელი, მამის სახელი, სოფელი, მაზრა, გუბერნია, სად იყო დაჭრილი და სხვ. სავსე საბუთებში ეწერა. კანტუზილი დავით ალექსანდრესძე, პოდვახოვი, საღნაღის მაზრა, თფილისის გუბერნია, დაჭრილია თავში და ჭრილობის გამო დამუნჯებულა და დაყრუებულაო. როგორც მოგახსენეთ, მე ვიყავი იქ იასონ სიმსივეს სანახავათ და რადგან ამ ქალმა და მე, ის სიაში ვერ აღმოვაჩინეთ, მიმასწავლა ისევ ძველ ადგილს, სიდანაც 15 წამის უკან გამოველი შევედი ისევ იქ და კიდევ განმეორებით მოვითხოვე სიის გადათვალიერება მაგიდას შემოსხდომოდა რამდენიმე ახალგაზდა, უფრო ბევრი სტუდენტობა და თავისებურათ მასლაათობდენ, ერთმა მათგანმა წამოიძახა: აქ არისო და მიმასწავლა ოთახი 77, სადაც მართლა აღმოჩნდა იასონ სიმსივე; იასონ სიმსივეს ძებნაში თურმე უკან დამდევდა ერთი მორჩენილი ქართველი ჯარისკაცი, რომელიც მე ვერ შევამჩნიე. ხოლო სიმსივემ მითხრა, რომ ის ქართველი ჯარისკაციაო. ეს ქართველი ჯარისკაციც გავიცანი, რომელმაც სხვა ქართველები მაჩვენა. ყველას უსაზღვრო სიხარული ეტყობოდა ჩემს დანახვაზე და სიმართლე უნდა ვსთქვა მეც სიხარულით გული ამევსო მათ ნახვაზე. ყველაზე უფრო დამაინტერესა იმ ყრუ ჯარისკაცის ვინაობის გაცნობამ და დაუწყე ყველას გამოკითხვა. ვერც ერთმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გადმომცა და არც არავის გაეგონა თუ საქართველოში სოფ. პოდვიხევი იყო ან გვარი კანტუზილი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი ქართველის სახე აქვს თუ არა ამ ადამიანს მეთქი ვიფიქრე, განა ცოტა არის სოფელი და გვარი საქართველოში, რომელიც ჩემს ყურს არა სმენია მეთქი და ვსთხოვე, ვისაც კი შეეძლო, წამყოლოდა და ერთხმათ გამოგვეცნო ეკუთნოდა თუ არა ის ჩვენ ქართველ ერს. ყველა სიხარულით შეეგება ჩემს აზრს და გავეშურეთ ამ ჯარისკაცის სანახავათ: ჩვენი თავი ექსპერტებათ ჩვენვე დავნიშნეთ შევედით 72 ოთახში, ავათვალიერე და ცოტა არ იყოს ხმამაღლა წამოვიძახე: სიღნაღი, თბილისი ავათვალიერ ჩავათვალიერე და ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც დამიწყო ცქერა. ყველა მას ვაჩერდებოდით, ბოლოს წამოჯდა, პორტმანი გახსნა, ქაღალდი ამოიღო და მომაწოდა დამუნჯურათ ჩვენება დამიწყო. წავიკითხე სახელი, გვარი, და მამის სახელი ისევ ის, რაც ეწერა იმ ქალს როგორც იყო კითხვები წერილობით მივეცი და მანაც ცუდის ხელით დამიწერა თავის სახელი, გვარი, მამის სახელი, ხოლო სოფლის სახელის დაწერა ვერ მოახერხა. ბევრი კვლევა ძიების შემდეგ სოფ. პოდვიხოვს მივამსგავსეთ სოფ. ბოდბისხევი, რადგანაც ერთმა სიღნაღელმა ჯარისკაცმა მითხრა, რო კოჯრიშვილები ბოდბისხევში სცხოვრობენო.

ამ გვარათ ეს ყრუ მუნჯი ჯარისკაცი ყოფილა სოფელ ბოდბის ხევიდან, სიღნაღის მაზრა, დათო კოჯრიშვილი

გამომშვიდობებისას მეუბნებოდენ: გაზეთი, გაზეთი, ხშირათ გვინახულე, ახალი ამბავი მოგვიტანე, დაგვეხმარე, რომ ქართველები ერთ ლაზარეთში მოგვათავსონო, ქართულ ეკლესიაში სააღდგომოთ წაგვიყვანე, ჩვენს ენაზე წირვა-ლოცვა გაგვაგონეო. ზოგიერთებს დავპირდი და ზოგიერთზე კი ცივი უარი განუცხადე, როგორც, მაგალითად, ქართულ ეკლესიაში წაყვანა და განუმარტე რომ ქართველებს მოსკოვში თვისი ეკლესია არ აქვს მეთქი. ამასთან ვაცხადებ, როგორც ახალი ამბავი, რომ ქართველ საზოგადოებას ამის შესახებ შუამდგომლობა აქვს აღძრულითქო, ვამცნე აგრეთვე რომ ქართული საზოგადოება მოსკოვში ქართულ სკოლას ხსნის (ეს ამბავი ქართული საზოგადოების კრებაზე 2 აპრილს გავიგე). ძლიერ გაეხარდათ, მაგრამ ბოლოს მაინც ყველას თხოვნა ერთი იყო. „გვინახულე, გვინახულე, თქვენი ჭირიმეო“.

აქვე ვგზავნი ამ ჯარის კაცების სიას:

1) ბაგრატ ვასილის ძე ცარციძე, სოფელი ჯალაურთა, შორაპნის მაზრა, ქუთ. გუბ. სჭირებია საოფლე ახლა კარგათ არის, Смоленскiй бульв. д. 53 смоленскiй распорядительный госпиталь;

იმედიტე ოქროს ძე აბრამიშვილი, ს. შომახეთი, შორაპნის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, ფეხებში ქარები აქვს გაჩენილი, მისამართი იგივე;

3) ანტონ შეხუს ძე კვარაცხელია, ს. წალენჯიხა, ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, დაჭრილია ფეხში, მისამართი იგივე;

4) იასონ ივანეს ძე სიმსივე, ს. ნამახვანი, ქუთაისის მაზრა, და გუბერნია, დაჭრილია თავში, მისამართი იგივე;

5) მიხეილ სოსოს ძე ათრიაშვილი, ს. კარდანახი, სიღნაღის მაზრა, თბილისის გუბერნია ფეხი აქვს ნაღრძობი, მისამართი იგივე;

6) თინა სოლომონის ძე ოქრომჭედლიძე, სოფელი მუსხი, ახალციხის მაზრა, თბილისის გუბერნია, კლავში შრაპნელით არის დაჭრილი, მარცხენა ხელის თითებს ვერ ანძრევს, მისამართი იგივე;

7) დავით ალექსანდრეს ძე კოჯრიშვილი, ს. ბოდბისხევი, სიღნაღის მაზრა, თბილისის გუბერნია, დაჭრილია თავში, ყურთასმენა არ აქვს და ვერც ლაპარაკობს, მისამართი: Смоленскiй бульваръ. д. 35. Травматологическiй институтъ

8) ბიქტორ სპირიდონის ძე გაგნიძე, ს. შქმერი, რაჭის მაზრა ქუთაისის გუბერნია დაჭრილია თავში, მარცხენა ხელსა და ფეხში დავლა აქვს დაცემული, მისამართი: Рождественка, д. Строгоновскаго уч. Лазаретъ Кредитнаго Общества.

9) ივანე ლევანის ძე შაკლაშვილი, ს. ჯიმითი, სიღნაღის მაზრა, თბილისის გუბერნია, ფეხი გაციებია და გასივებია, მისამართი იგივე:

10) ნიკოლოზ გლახუს ძე აღნაშვილი, ს. კისისხევი, თელავის მაზრა თბილისის გუბერნია, დაჭრილია თეძოს ზევით, მისამართი იგივე.

11) მელქისედეკ კაკოლას ძე მსხვილიძე, ს. ხანი, ბაღდათის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, დაჭრილია მარცხენა მუხლსა და მკლავში, მისამართი: Срѣтенка, Селиверстовскiй пер 1. Госп Петроградскаго Страховаго О-ва.

12) რაჟდენ გიგოს ძე კაკაურიძე, ს. უბდოური, ქუთაისის გ. და გ. დავარდნილია და ახველებს, მისამართი: Солянка, Солянскiй госпиталь.

13) სტეფანე მახარასძე ხარაბაძე, ს. მექვენა, ლეჩხუმის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, დაჭრილია მარჯვენა გვერდში, ახლა კარგათ არის. მისამართი Сокольника, Ермаковская ул. работный домъ

14) ხარიტონ გრიგოლის ძე თუხარელი, ახალ სენაკელი, ქუთაისის გუბერნიისა 14 მარტს გამოწერეს Съ Комисаровскаго техничевскаго училища (Благовѣщенскiй пер). მგონი, საქართველოში გამოგზავნეს.

15) ნიკოლოზ სოლომონის ძე მაისურაშვილი, ს. კაკილეთი, სიღნაღის მაზრა, თბილისის გუბერნია, გამოწერეს იმავე სასწავლებლიდან 18 მარტს, მგონი, საქართველოში გამგზავნეს.

საზოგადოთ უნდა შევნიშნო ყველგან თითქმის, რომ გვარები ლაზარეთებში შეცდომებით აქვთ ნაწერი. მაგალ. ათრიაშვილის მაგივრათ — აპრაშვილი, კოჯრიშვილის მაგივრათ კანტუზილი, მსხვილიძეს მაგივრათ — ნემსტვერიძე, კაკაურიძის მაგივრათ — კაურიძე და სხვა ამგვარი. ხშირათ ამა თუ იმ ჯარის კაცის ძებნის დროს შეიძლება ეს პირი ლაზარეთში იყოს მოთავსებული, მაგრამ მშობლებს, კი აცნობონ, რომ აქ არ არისო.

სიმ. წერეთელი

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ზედა-ილემი (შორაპნის მაზრა).

როგორც მკითხველს მოეხსენება ქვირილის წ. კ. გ. ს. განყოფილებას აქვს გახსნილი სამკითხველოები სხვადასხვა ადგილას. სოფ. ზედა-ილემის სამკითხველოც მათი გახსნილია.

ჩვენ ორიოდე სიტყვით შევეხებით ამ სამკითხველოს ბედ-იღბალს.

გაზეთში აღნიშნული გვქონდა, რომ გასულ წლის ქრიშობისთვეში მოხდა სამკითხველოში კრება სხვადასხვა კითხვის გასარჩევად. სხვათა შორის, არჩეულ იქნა სამი პირი სარევიზიო კომისიის წევრებათ და ახალი გამგე-

სარევიზიო წევრებს დაევალათ ეზრუნათ სამკითხველოს მომავალზე, გამოენახათ რამე საშუალება, რომ მით ნივთიერად სამკითხველო უზრუნველეყოთ და თან, რასაკვირველია, თავის დანიშნულებაც აესრულებინათ

მაგრამ დახეთ უბედურებას, რომ სარევიზიო კომისიის წევრები „ნირვანას“ გაუტაცნია და დღესაც კონს ვერ მოსულან. სამკითხველოში კი, მგონი, ერთხელაც არ შეუხედიათ თავის არსებობაში, და, თუ შეიხედეს, ნეტა სად სძინავს? რაში გამოიხატება მათი მოქმედება? როგორც ზევით ვსთქვით, კრებაზე არჩეულ იქნა ახალი გამგე ბ. შ. კანდელაკი კი, რომელიც ქ. ბაქოს გამგზავრებულა. თუ არ ვცდები, ბ. კანდელაკი წინათ სხვებს უქადაგებდა ასე უმოქმედებას და ერთხელ ინციდენტიც კი მოუხდა ამის შესახებ ყოფილ გამგესთან.

მაგრამ და საკვირველიც არის, თუ რათ მოუვიდა თვითონ ბ. კანდელაკს ის, რასაც სხვას უკიცხავდა, რაც მოუვიდა იმ პირს, რომელსაც ვიდრე გამგედ აირჩევდნენ, იდეალად ქონდა დასახული სამკითხველოს გაუმჯობესობა (?).

როდესაც ამ სამკითხველოზე ფიქრობთ მოგაგონდებათ რუსული [illegible] გის სიტყვები: „Началъ [illegible] неумѣ надѣвать чулк [illegible] нiемъ жить“ [illegible] სწორეთ რომ ასეა ამ სამკითხველოს საქ დაიწყეს ბრწყინვალედ, ყველა ალფრთ იყო, როდესაც ბ-მა ალ. გორგაძემ მოა სამკითხველოს გახსნა.

ყველას უხაროდა და გაიძახოდნენ „ჩვე და, გაზეთებს ვღებულობთ“. მაგრამ, უბედურებას, დღეს მას მაგივრად, რომ უმეთვალყურეობით, თითქმის მიიწყობის გზ დამდგარა და დღეს მხოლოდ სახელად ბობს.

სამკითხველოში არ მოიპოვება არც თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები (თუმც გაერთმა კერძო პირმა აღუთქვა სამკითხველ გაზეთების გამოწერა, მაგრამ ჯერჯერ არაფერია).

ასეთი გულგრილობა სამკითხველოსადმ ეკიტება აჭურ საზოგადოებას, რომე არც თუ ისე ღარიბია განათლებით, აჭურა ახალგაზრდობა სწავლის ეტანება და დეგ წასულ-წამოსულნი არიან სხვადასხვა წავლებლებში რომ შეეკითხოთ მათ — გა ხებენ: „ჩვენ საზოგადო მოღვაწე ვარ ნეტა ვიცოდე, თუ რაში გამოიხატება საზოგადო მოღვაწეობა თუ არა თავის ლის ოჯახების ხელის შეწყობაში? და რა ხნის, არავითარი საზოგადო მოღვაწეობ უთვალან ჯერჯერობით ის „რეკლამის და, თუ ყოფილან მარტო მშრალი სი ბით.

დასაგმობია ის პირი, რომელსაც მა სიტყვებით მოაქვს თავი და არა საქმით. სწორედ ეხლა არის საჭირო მათი მოღვ ბა, როდესაც მათივე სოფლის ფერად ტურული დაწესებულება — სამკითხველო — მიხედეს კრიზისს განიცდის.

დასასრულ არ შემიძლია არ ვუსაყვედ ქვირილის წ. კ. განყოფილებას, რომე არავითარი ყურადღება არ მიაქცევია სამ ხველოსათვის. მე მგონია, ქვირილის წ განყოფილებას იმდენი საშუალება ქონდეს, რომ ერთერთი გაზეთი მ გამოუწეროს თავის გახსნილ ღარიბ სამ ხველოს. (?)

კმარა ბატონო, რამდენი ძილი? დრო, შევიგნოთ და იმ კულტურულ დაწესებუ საზოგადოების იმ სულიერ საზრდოს, მესაც ბიბლიოთეკა — სამკითხველოს ქვი ხელი შევუწყოთ და მათ ფეხზე დაყე ის, რაც ჩვენია და ჩვენსავე საკუთრებათ ჩება.

Natus.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლ

მმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ. სახლ

მიღებულია საუკეთესო საშუალება „ოსტიოკოლი“

ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიერი

სალი კუჭი

ქელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ავადობის, მოშლის, ნაწლავების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ

ქრონიკული ავადობა წყართა მთელი წყება კუჭ-ნაწლავების მოშლის, პირის დეჟინებისა, სიმწვავისა, მეცდის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლავების კატარისა, ჰემორიოისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა — დასუსტებას. ავადობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ავადობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი ქელაგარი ექ. ვეზისა აძლიერებს კუჭის მოქმედებას, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს შხამს, ნაწლავების კატარს, მაგრებს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ავადობისაგან.

ქელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭკუტ ავათმყოფობისაგანაც კი.

პრეპარატ ქელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი ქელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა. პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ქელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მისარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი, 9 (წლიური)